სსიპ ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლა

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა

2023-2030 სასწავლო წელი

სარჩევი:

მისია .....
ხედვა .....
ღირებულებები .....
რესურსები .....

სკოლის სტრატეგია
სტრატეგიული გრძელვადიანი მიზნები .....
სტრატეგიული გრძელვადიანი მიზნების განხორციელების სტრატეგია .....
SWOT ანალიზი .....
მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმები
სტრატეგიული მიზნების განხორციელების ვადები .....

შესავალი

სსიპ ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმის მიზანია განსაზღვროს ის სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები, რომლითაც სკოლა იხელმძღვანელებს მომავალი 7 წლის განმავლობაში. სკოლა გაუზიარებს მოცემული სტრატეგიული დოკუმენტის საშუალებით დაინტერესებულ მხარეებს სკოლის ხედვას, მისიას და ღირებულებებს, მიზნებს/ამოცანებსა და მათი მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა ხელს შეუწყობს სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტიან მუშაობას, დადგენილ ვადებში სტრატეგიული მიზნების მიღწევას და საქმიანობის შეფასებას. სტრატეგიული გეგმა დეტალურად მოახდენს აღწერას გარემო ფაქტორების, კონკურენტებისა და SWOT ანალიზს.

სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სკოლის სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობით. ჯგუფმა მოამზადა საჭიროებების შეფასება (SWOT ანალიზი) და მისი დასრულების შემდეგ გაიმართა სამუშაო შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავდა საჭიროებათა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, სკოლის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრასა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

ამ პროცესში მხედველობაში იქნა მიღებული სკოლის 2014-2020 წლების სტრატეგიული ციკლის შეფასების დოკუმენტი, ძირითადი მიგნებები, რეკომენდაციები, ასევე, ჩატარებული კვლევები სკოლის მომხმარებელთა და თანამშრომელთა საქმიანობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ თანამშრომელთა მონაწილეობით გადაიხედა სკოლის არსებული ხედვა, მისია და ღირებულებები. სამუშაო პროცესი მოიცავდა განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების დასაგეგმად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტების მიმოხილვას.

სკოლის სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის პროექტების გაცნობის მიზნით დაინტერესებული მხარეებისთვის ჩატარდა შეხვედრები სკოლის პედაგოგებთან, მოსწავლეთა მშობლებთან. ჩატარებული შეხვედრების დასრულების შემდეგ სკოლის სტრატეგიულ დოკუმენტში გათვალისწინებული იქნა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი.

ინფორმაცია სკოლის შესახებ

სსიპ ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლა ასრულებს კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამის საქმიანობას და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროფესიული განათლების პოპულარიზებისათვის სკოლა გეგმავს განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რაც ხელს შეუწყობს პროფესიულ განათლებაში მოსწავლეთა ინტეგრირებას. სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით,

საქართველოს კანონებით ზოგადი განათლების შესახებ და პროფესიული განათლების შესახებ, ასევე ქვეყანაში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით და სკოლის რეგულაციებით.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში და სკოლის წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად სკოლა:

- ქმნის პირობებს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი, პასუხისმგებლობით აღსავსე, პატრიოტი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის;
- ხელს უწყობს მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებას, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, მოსწავლეთაა დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემას, შემოქმედებითი, მუდმივად განვითარების შემძლე პიროვნების აღზრდას.
- საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებას

ქ. ბოლნისის N1 სკოლა დაარსდა 1942 წელს. თავიდან მას ერქვა ლუქსემბურგის საშუალო სკოლა, სადაც იყო ქართული სექტორი, 1943 წლიდან კი იწოდებოდა ბოლნისის პირველი საშუალო სკოლა.

ახლანდელ შენობაში დაბა ბოლნისის პირველი სკოლა გაიხსნა 1950 წლის პირველ სექტემბერს და მას მიენიჭა სულხან-საბა ორბელიანის სახელი.

ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლის მისამართია: სულხან-საბა ორბელიანის ქ. 121. სკოლის სრული ფართია 8686 კვ.მ. ; განაშენიანების ფართი - 2122 კვ. მ. შენობა ორსართულიანია, აქვს შიდა და გარე ეზო, სპორტდარბაზი და ეზოში მდებარე მინი სტადიონი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. სკოლაში არსებობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, კომპიუტერული მეცნიერების კაბინეტ-ლაბორატორიები, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენების, ხელოვნების კაბინეტები. სკოლას აქვს მომავლის ოთახი, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებითა და სმარტ-დაფით. ასევე, სააქტო დარბაზი კონფერენციების, სამუშაო შეხვედრებისა და ღონისძიებებისათვის. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც მუდმივად შევსებადია.

მისია

სსიპ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლის მისიაა მოსწავლეთა პოტენციალის გამოვლენა და განვითარება, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ სიახლის შეცნობის მსურველ, განათლებულ და მზრუნველ მსოფლიო მოქალაქეებად,

რომლებსაც შეუძლიათ გამოიჩინონ ინიციატივა სამყაროს უკეთესობისკენ შესაცვლელად. არაფორმალური განათლების გაძლიერების, მოსწავლეთა თვითმმართველობის, კლუბური მუშაობის ხელშეწყობის, სპორტის სწავლების წახალისების გზით შეუქმნას მოსწავლეს სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტის მქონე განათლების მისაღებად.

სკოლა იზრუნებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, რისთვისაც უზრუნველყოფს სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და პროფესიული განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას. ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ბიზნესის პარტნიორობის განვითარებას. ეს კი მთლიანობაში განაპირობებს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების ზრდას.

მომავლის ხედვა

ჩვენ გავხდებით რეგიონში აღიარებული ზოგადი განათლებისა და პროფესიული სწავლების ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც **განვითარებაზე ორიენტირებული მოქნილი შიდა სისტემის ჩამოყალიბებით** იზრუნებს მოსწავლეთა და **პროფესიული სტუდენტების** საჭიროებების მუდმივ დაკმაყოფილებასა და მათი უნარ-ჩვევების გამოვლენა/განვითარებაზე. შესთავაზებს **ხარისხიან** განათლებას, ხელს შეუწყობს **კარიერულ** წინსვლას და **უზრუნველყოფს** შრომის **ბაზარს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური** კადრებით.

გაიზრდება მოსწავლეთა და **პროფესიულ სტუდენტთა** რაოდენობა ყოველწლიურად.

ღირებულებები

მომავლის ხედვისა და სკოლის მისიის განხორციელების მიზნით, სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ სკოლამ მთლიანობაში და მისმა ყოველმა თანამშრომელმა თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი სამუშაო პრინციპებითა და მიდგომებით: პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება; პატიოსნება და კეთილსინდისიერება; სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა; სამართლიანობის

დაცვა; ინოვაციური მიდგომები და წარსული გამოცდილების გათვალისწინება; ინიციატივების სწორი შეფასება და განხორციელებაში ხელშეწყობა; პროფესიული ზრდა და განვითარება; გუნდური მუშაობა

რესურსები

- სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და საჭიროებებს.
- სკოლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ არსებული რესურსების ეფექტურ გამოყენებას, მიწოდებას,
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას.
- სკოლის დირექცია ეხმარება კათედრებს და სკოლაში დასაქმებულ პირებს განავითარონ სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხები, რომელიც შეესაბამება ერთიან სასკოლო მიზნებს.

სტრატეგიული ჩარჩო

სკოლის შესაძლებლობებისა და საქმიანი გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), დეკლარირებული მისიისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების ფარგლებში სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს ხუთი სტრატეგიული მიმართულებით:

1. სკოლის მომსახურებების გაუმჯობესება;

2. სკოლაში ხარისხის სისტემის დანერგვა/განვითარება;

3. სკოლის ორგანიზაციული განვითარება.

4.არაფორმალური განათლების ხელშეწყობა.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება

თითოეული სტრატეგიული მიმართულება აერთიანებს რამდენიმე სტრატეგიულ მიზანსა და ამოცანას.

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და საჭიროებებს.

სკოლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ არსებული რესურსების ეფექტურ გამოყენებას, მიწოდებასა და ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობას.

სტრატეგიული ჩარჩო

სტრატეგიული მიმართულება I - სკოლის მომსახურების გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზანი 1 **სასწავლო გეგმების შემუშვება-განხორციელება-განვითარება**

სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენა ხდება განვლილი წლის ანალიზის საფუძველზე და განახლდება არსებული გამოწვევების საპასუხოდ.

ამოცანები

1.1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა უპასუხებს სამივე საფეხურის მოსწავლეთა საჭიროებებს, მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს და საშუალებას მისცემს შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სრულფასოვანი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები.

1.1.2 შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმასთან, კრიტერიუმები გამჭვირვალე და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად;

1.1.3 მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

1.1.4 სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და შეფასების პროცესში გამოყენებულია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა;

1.1.5 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით.

1.1.6 სკოლა შეიმუშავებს და საჭიროების გათვალისიწინებით განაახლებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამის წესდებას, შინაგანაწესს ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველ სხვა დოკუმენტებს;

მოსალოდნელი შედეგები:

სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილი იქნება ეროვნული სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, მისი განახლება მოხდება განვლილი წლების ანალიზის საფუძველზე, არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე და შესაბამისობაში იქნება სკოლის მისიასთან.

სტრატეგიული მიზანი 2-

სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შესაბამისი მატერიალური რესურსით.

ამოცანა

1.2.1. ჯანსაღი ცხოვრების ხელშემწყობი გარემოს გაუმჯობესება (სპორტული დარბაზი/გარე სპორტული მოედნის მოვლა/პატრონობა, განახლება ახალი ინვენტარით);

1.2.2 აღჭურვილი და განახლებული ლაბორატორია/ლაბორატორიების მოვლა/პატრონობა;

1.2.3. საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემოს უზრუნველყოფა: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;

1.2.4. სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკის, სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით, განახლება და განვითარება, ელექტრონული ბიბლიოთეკის მოწყობა;

1.2.5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის ადაპტირებულია სასწავლო გარემო;

1.2.6. სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განახლება/განვითარება. მუდმივი ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერების განახლება. ვებგვერდის მართვა,

რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, ოფიციალური Faceebook გვერდისა და სკოლის ვებ-გვერდის განვითარება;

მოსალოდნელი შედეგები

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შესაბამისი მატერიალური რესურსით.

სტრატეგიული მიზანი 3-პერსონალის, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.

ამოცანები

1.3.1. მოწესრიგებულია ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო დახმარების მექანიზმები და განახლებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით;

1.3.2 შემუშავებულია სკოლის ყველა მოსწავლეზე, მომუშავე პერსონალსა და მშობლებზე მორგებული კრიზისის მართვის პოლიტიკა; უზრუნველყოფილია წესრიგის დაცვის მექანიზმები;

1.3.3. სკოლა უზრუნველყოფილია უსაფრთხოების კამერებით შიდა და გარე პერიმეტრზე (კამერების მოვლა/პატრონობა და შეცვლა/განახლება საჭიროების შემთხვევაში)

1.3.4. სკოლა უზრუნველყოფილია უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებით მოთხოვნების შესაბამისად.

მოსალოდნელი შედეგები

მომუშავე პერსონალის, მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა იქნება უზრუნველყოფილი.

სტრატეგიული მიმართულება II - **სკოლაში ხარისხის სისტემის დანერგვა/განვითარება**

სტრატეგიული მიზანი 1

სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება.

ამოცანები

2.1.1. უზრუნველყოფილია სწავლა-სწავლების პროცესში თანამედროვე ციფრული და მულტიმედიური ტექნოლოგიებისა და სხვა თანამედროვე სასწავლო რესურსების ფართოდ გამოყენება;
2.1.2. ხელშეწყობილია მოსწავლეთა განვითარების საჭიროებების გათვალისწინება და საჭირო საკონსულტაციო დახმარებით უზრუნველყოფა. მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვა;
2.1.3. წახალისებულია სკოლის საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებისა და მოსწავლეთა მიღწევების ხელშეწყობა, მათთვის თვითრეალიზების საშუალების მიცემა;
2.1.4. სამოქმედო და გრძელვადიან გეგმაში განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელების მექანიზმების შემუშავება

მოსალოდნელი შედეგები

გაუმჯობესდება სწავლა-სწავლების ხარისხი და მოსწავლეთა შედეგები.

სტრატეგიული მიზანი 2

სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარება

ამოცანები

2.2.1. შემუშავებულია ხარისხის სისტემის განვითარების დოკუმენტი;

2.2.2. საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის მიერ სკოლის საჭიროებების შესაბამისი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა. (შეხვედრები, ტრენინგები, ურთიერთდასწრებები და სხვა).

სტრატეგიული მიზანი 3

სასწავლო პროცესის მართვა

2.3.1. სასკოლო სასწავლო გეგმაში მიმდინარე ცვლილებების და მათი შესაძლო გავლენის გათვალისწინება მოსწავლეთა მიღწევებზე;

2.3.2. სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა მიღწევების მუდმივი შეფასების უზრუნველყოფა მათი შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სწავლების ახალი სტრატეგიებისა და რესურსების გამოყენება.
2.3.3. სკოლის დირექცია და მასწავლებლები გაიაზრებენ მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ხედვასა და პასუხისმგებლობას.

2.3.4. სკოლა უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვას, დაწესებულების რესურსების ეფექტურად გამოყენებას და მოარგებს მოსწავლეთა საჭიროებებს

მოსალოდნელი შედეგები

სასწავლო პროცესის მართვაში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუმჯობესდება მოსწავლეთა შედეგები

სტრატეგიული მიმართულება III - სკოლის ორგანიზაციული განვითარება.

სტრატეგიული მიზანი 1

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება/ განვითარება.
ამოცანები

3.1.1 სტრატეგიული განვითარების სამოქმედო და სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა, მისი მონიტორინგისა და განახლების მექანიზმების შემუშავება

3.1.2. შიდა და გარე შეფასების გამოყენება სასკოლო გარემოს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების შედეგების მიღწევების გასაუმჯობესებლად.

მოსალოდნელი შედეგები

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე ყოვლწლიურად შემუშავებული იქნება სამოქმედო გეგმა, საჭიროების მიხედვით მოხდება მისი განვითარება

სტრატეგიული მიზანი 2

ადამიანური რესურსების მართვა

ამოცანები

3.2.1. სკოლის თანამშრომლების შერჩევა ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
3.2.2. თანამშრომელთა შერჩევა, მიღება და გათავისუფლება, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემის შემუშავება და წახალისება;

3.2.3. მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან ხელშეკრულებების გაფორმება;
3.2.4. ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავება;

3.2.5. დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს, თანამშრომლობითი კულტურის ზრდის ხელშეწყობა, რაც დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენაზე, პასუხისმგებლობის გადანაწილებაზე.
3.2.6. სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობა სკოლის ინტერესების სასარგებლოდ;
3.2.7. სხვადასხვა საგანმანათებლო დაწესებულებებთან გამოცდილებისა და მიღწევების გაზიარების მიზნით თანამშრომლობა.
3.2.8. ცნობადობისა და ბრენდ ლოიალურობის გაზრდის მიზნით შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება, რაც მოიაზრებს სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვას, მათ შორის შესაბამისი ადამიანური რესურსის მოძიებას და განვითარებას.

მოსალოდნელი შედეგები

გამართულია ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები შრომის კანონმდებლობის შესაბამისად

სტრატეგიული მიზანი 3

ანგარიშვალდებულების წარმოება

ამოცანები

3.3.1. კანონმდებლობით დადგენილი წესით მაკონტროლებელ ორგანოებთან ანგარიშვალდებულების განხორციელება (თვითშეფასება);

3.3.2. კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულების განხორციელება სკოლის უმაღლეს არჩევით ორგანოსთან;

3.3.3. ანგარიშვალდებულების სისტემის გამჭვირვალობის ადვილად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

მოსალოდნელი შედეგები

ანგარიშვალდებულება მოხდება ხარისხიანად წინასწარ დადგენილ ვადებში, რაც ხელს შეუწყობს სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის სისტემის დანერგვას.

სტრატეგიული მიზანი 4

მატერიალური რესურსების მართვა.

ამოცანები

3.4.1. სტრატეგიული გეგმის მიზნების შესაბამისად ბიუჯეტის დაგეგმვა-განკარგვა და მონიტორინგი.

3.4.2. დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება.

მოსალოდნელი შედეგები

მატერიალური რესურსების მართვა მოხდება დადგენილი და შეთანხმებული წესის მიხედვით ეფექტურად და ეფექტიანად.

სტრატეგიული მიმართულება IV

არაფორმალური განათლების ხელშეწყობა.

სტრატეგიული მიზანი 1

საგანმანთლებლო პროგრამასთან მიზნისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა.

ამოცანები

4.1.1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისიაში ასახული საერთო პრინციპებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით არაფორმალური განათლება ხელს შეუწყობს შეძენილი ცოდნის რეალიზებას.
4.1.2. სასწავლო პროგრამები ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლისათვის კვლევისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზიარებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესაძლებლობას. ტოლერანტული ცნობიერების ჩამოყალიბებას; გარემოსდაცვითი უნარების გაძლიერებას. ეს მისცემს მათ ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობას.
4.1.3. არაფორმალური სივრცეების მოწყობა, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე.

მოსალოდნელი შედეგები

- სასწავლო პროგრამებთან შესაბამისობაში იქნება მიზნები და სწავლის შედეგები;
- მოსწავლეებს განუვითარდებათ კვლევისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევები, ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობა;

სტრატეგიული მიმართულება V

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება

სტრატეგიული მიზანი 1

ორგანიზაციული განვითარება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან მიმართებაში

ამოცანა 1.1. სამოქმედო გეგმების შემუშვება/განხორციელება/განვითარება

1.1.1.პროფესიული პროგრამ(ებ)ის განხორციელებისათვის ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება/დამტკიცება;
1.1.2. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი;
1.1.3. კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების სინქრონიზაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მოთხოვნებთან და სხვა რეგულაციებთან.

ამოცანა 1.2. ხარისხის უზრუნველყოფა (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, განვითარება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას

1.2.1.პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის მიმართულებით 2024-2025 წ. ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის შედგენა, დამტკიცება
1.2.2.ადმინისტრაციის თანამშრომელთა და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების, საჭიროებების კვლევა
1.2.3.პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების, საჭიროებების კვლევა
1.2.4.მიწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასება
1.2.5. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია

ამოცანა 1.3. ადამიანური რესურსების განვითარება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობისათვის

1.3.1. ადმინისტრაციის თანამშრომელთა, პროგრამის განმახორციელებელ პირთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა(ტრენინგები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, სასერთიფიკატო კურსები და სხვა)
1.3.2. ახალი პერსონალის მოზიდვა(ადმინისტრაცია, პროგრამის განმახორციელებელი პირები)
1.3.3. ახალ თანამშრომელთა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სოციალიზაცია ადაპტაციის ხელშეწყობა
1.3.4. პროფესიულ განათლების მასწავლებელთა ინტეგრირება დარგობრივ ქსელებში/დარგობრივი ქსელების შესაძლებლობების გამოყენება

სტრატეგიული მიზანი 2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების ხარისხის განვითარება**

ამოცანა 2.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განახლება, განხორციელება

2.1.1.პროფესიული პროგრამ(ებ)ის განხორციელებისათვის ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება/დამტკიცება
2.1.2.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი
2.1.3.კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების სინქრონიზაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მოთხოვნებთან და სხვა რეგულაციებთან

სტრატეგიული მიზანი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება

ამოცანა 3.1. ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება
3.1.1.ოფიციალური ვებ-გვერდის /სოციალურ ქსელში არსებული გვერდის მუდმივად განახლება
3.1.2.პროგრამების კატალოგის შემუშავება
3.1.3.ინფორმაციის დაცვა და ელექტრონული რისკების მართვა
3.1.4. IT ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანა 3.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალური რესურსების განვითარება

3.2.1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის/დარგობრივი ლაბორატორიების მოწყობა/განახლება

ამოცანა 3.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება

3.3.1. საბიბლიოთეკო ფონდის გაახლება და გამდიდრება /საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესება, საგანმანათლებლო რესურსების ვებ-გვერდზე განთავსება)

სტრატეგიული მიზანი 4: ***პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები***

ამოცანა 4.1. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლებების დაცვა
4.1.1.პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება კოლეჯში არსებული რეგულაციების შესახებ, უფლება მოვალეობების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების გაცნობა

ამოცანა 4.2. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მხარდაჭერა

4.2.1.ექსტრაკურიკულური/არაფორმალური აქტივობების წახალისება და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება
4.2.2.მუდმივად განახლებადი დასაქმებისა და კარიერული ხელშეწყობის სოციალური გვერდის მართვა/ადმინისტრირება
4.2.3.პროფესიულ სტუდენტებისთვის დასაქმებაზე ორიენტირებული შეხვედრების/ტრენინგ-კურსების განხორციელება/მონაწილეობის მიღება

სტრატეგიული მიზანი 5. უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას
ამოცანა 5.1. ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამის განმახორციელებელი პირების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინფორმირება უსაფრთხოების წესების შესახებ

5.1.1. უსაფრთხო სასწავლო /სამუშაო გარემოს განვითარება
5.1.2.სახანძრო უსაფრთხოების წესების გაცნობა, ინსტრუქტაჟი
5.1.3. შრომის უსაფრთხოების წესების გაცნობა, ინსტრუქტაჟი
5.1.4.სანიტარულ ჰიგიენური ნორმების კონტროლი/დაცვა

სტრატეგიული მიზანი 6. საზოგადოებასთან ურთიერთობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას
ამოცანა 6.1. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება

6.1.1.პროფორიენტაციის შეხვედრების დაგეგმვა/განხორციელება
6.1.2.სკოლის ბაზაზე პროფესიული პროგრამის ცნობადობის ასამაღლებელი/სარეკლამო ღონისძიებების განხორციელება
6.1.3.სკოლის თანამშრომლობა პროფესიული პროგრამების განმახორცილებელ სხვა სკოლებთან

SWOT ანალიზი

(1) განსაზღვრავს იმ ძლიერ მხარეებს, რომლებიც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას შეუწყობს ხელს;
(2) განსაზღვრავს იმ სუსტ მხარეებს, რომლებიც უნდა გამოსწორდეს, რათა მისიაში მოცემულ მიზნებს მივაღწიოთ;

(3) ადგენს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც აქამდე გამოუყენებელი დარჩა ან რისიც უკეთესად გამოყენება მომავალში შესაძლებელია;

(4) აღმოაჩენს იმ საფრთხეებს, რომელთა თავიდან აცილება დროულად უნდა მოხდეს

S - ძლიერი მხარე • შინაგანაწესი • პოზიტიური, წამახალისებელი ინფრასტრუქტურა • საჭიროებათა კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი • ინოვაციები/თანამედროვე ტექნოლოგიები/პროგრამები • დისციპლინა • გამორჩეული სასკოლო კულტურა • პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა • ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი • მონიტორინგის სისტემა • მართვა კრიზისულ სიტუაციაში • ადამიანური რესურსი • გამოცდილება პროფესიული განათლების სფეროში; • უსაფრთხო გარემო	**W - სუსტი მხარე** • მშობელთა ჩართულობა • დამხმარე პერსონალი • ხარისხის სისტემა • ფართი
O – შესაძლებლობები • ხარისხის უზრუნველყოფის მდგრადი მექანიზმების ჩამოყალიბება საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით; • სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება; • ადამიანური რესურსების გაძლიერება; • დაწესებულების ცნობადობის გაზრდის შესაძლებლობები;	**T - საფრთხეები** • პანდემიის რისკი • კატასტროფების რისკი • კანონმდებლობაში ცვლილებები • არაპროგნოზირებად გარემოში საქმიანობა • გლობალიზაციასთან დაკავშირებული გამოწვევები • დემოგრაფია

• სოციალური პროგრამები	

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების შეფასება და მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორის მიერ. სტრატეგიის განხორციელების შეფასება ხდება ორჯერ - შუალედური და შემაჯამებელი შეფასების სახით. შუალედური შეფასება ჩატარდება ახალი სტრატეგიული გეგმის დაწყებიდან მესამე წლის ბოლოს, ხოლო სტრატეგიის განხორციელების შემაჯამებელი შეფასება იწყება მიმდინარე სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე და სრულდება მიმდინარე სტრატეგიის დოკუმენტის ვადის ამოწურვამდე.

		2023 - 2024	2024 – 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030	ძირითადი ინდიკატორები და მათი სამიზნე ნიშნული	პასუხისმგებელი პირ(ებ)ი
სტრატეგიული მიმართულება I - სკოლის მომსახურების გაუმჯობესება										
სტრატეგიული მიზნები										
1.1.	სასწავლო გეგმების შემუშვება-განხორციელება-განვითარება	*	*	*	*	*	*	*	სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, მისი განახლება ხდება განვლილი წლების ანალიზის საფუძველზე, არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე და შესაბამისობაში იქნება სკოლის მისიასთან.	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; სკოლის თანასაზოგადოება
1.2.	სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული	*	*	*	*	*	*	*	სასწავლო პროცესის უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შესაბამისი მატერიალური რესურსით.	დირექტორი; დირექტორის მოადგილე, მატერიალურ ტექნიკური

	შესაბამისი მატერიალური რესურსით.									უზრუნველყოფის კოორდინატორი
1.3.	პერსონალის, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.	*	*	*	*	*	*	*	დაცულია მომუშავე პერსონალის, მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა იქნება უზრუნველყოფილი	დირექტორი;
1.4.	სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება.								გაუმჯობესდება სწავლა-სწავლების ხარისხი და მოსწავლეთა შედეგები.	დირექტორი; დირექტორის მოადგილე, სამეურვეო საბჭო პედსაბჭო
სტრატეგიული მიმართულება II - სკოლაში ხარისხის სისტემის დანერგვა/განვითარება										
სტრატეგიული მიზნები										
2.1.	სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება.	*	*	*	*	*	*	*	სასწავლო პროცესის მართვაში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუმჯობესდებულია მოსწავლეთა შედეგები	დირექტორი; დირექტორის მოადგილე, სამეურვეო საბჭო პედსაბჭო მასწავლებლები
2.2.	სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარება	*	*	*	*	*	*	*	საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის მიერ სკოლის საჭიროებების შესაბამისი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა. (შეხვედრები, ტრენინგები, ურთიერთდასწრებები და სხვა).	დირექტორი; დირექტორის მოადგილე,

2.3.	სასწავლო პროცესის მართვა	*	*	*	*	*	*	*	სასწავლო პროცესის მართვაში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუმჯობესებულია მოსწავლეთა შედეგები	დირექტორი; დირექტორის მოადგილე, სამეურვეო საბჭო პედსაბჭო
სტრატეგიული მიმართულება III - სკოლის ორგანიზაციული განვითარება.										
სტრატეგიული მიზნები										
3.1.	სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება/ განვითარება.	*	*	*	*	*	*	*	სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე ყოვლწლიურად შემუშავებული იქნება სამოქმედოგ გემა, საჭიროების მიხედვით მოხდება მისი განვითარება	დირექტორი;IT სპეციალისტი;დირექტორის მოადგილე,
3.2.	ადამიანური რესურსების მართვა	*	*	*	*	*	*	*	ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები შესაბამისობაშია შრომის კანონმდებლობის შესაბამისად	დირექტორი
3.3.	ანგარიშვალდებულების წარმოება	*	*	*	*	*	*	*	ანგარიშვალდებულება ხდება წინასწარ დადგენილ ვადებში	დირექტორი;ბუღალტერი
3.4.	მატერიალური რესურსების მართვა.	*	*	*	*	*	*	*	მატერიალური რესურსების მართვა ხორციელდება დადგენილი და შეთანხმებული წესის მიხედვით	მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი
სტრატეგიული მიმართულება IV - არაფორმალური განათლების ხელშეწყობა										
სტრატეგიული მიზნები										

. 4.1.	საგანმანთლებლო პროგრამასთან მიზნისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა.	*	*	*	*	*	*	*	•სასწავლო პროგრამების შესაბამისობაში იქნება მოყვანილი მიზნები და სწავლის შედეგები; მოსწავლეებს განუვითარდებათ კვლევისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევები, ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობა;	დირექტორი; დირექტორის მოადგილე,
სტრატეგიული მიმართულება V პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება										
სტრატეგიული მიზნები										
5.1.	ორგანიზაციული განვითარება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან მიმართებაში		*	*	*	*	*	*	დირექტორის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი); სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები; მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები; შეფასების შედეგებზე რეაგირების მტკიცებულებები; მარეგულირებელი დოკუმენტები შესაბამისობაშია არსებულ რეგულაციებთან თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების, დარგის სიახლეების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები;	დირექტორი; დირექტორის მოადგილე, სკოლის თანასაზოგადოება
5.2.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების ხარისხის განვითარება		*	*	*	*	*	*	სხვადასხვა კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა; აქტივობების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	დირექოტორის მოადგილე, ხარისხზე პასუხისმგებელი პირი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები

									ჩატარებული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; კითხვარები; კვლევის შედეგები/ანალიზი; საჭიროების შემთხვევაში განვითარების გეგმა, განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტები; ჩატარებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; შენარჩუნებული ავტორიზაცია	
5.3.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება		*	*	*	*	*	*	საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შემოწმებულია, მწყობრშია ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია;შესაბამისობის დასკვნები, ინვენტარიზაციის აქტი, შესაბამისობის და შემოწმების დასკვნები/ანგარიშები შენობის მდგრადობის დასკვნა; ინფრასტრუქტურის მოწყობა/განახლება ვებ-გვერდი ატარებს საკომუნიკაციო-საინფორმაციო ფუნქციას, მუდმივად განახლებულია ინფორმაცია, ატვირთულია სათანადო დოკუმენტაცია ყოველწლიურად განახლებულია კატალოგი და ატვირთულია ვებ-გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისათვის შემუშავებულია თანამედროვე მიდგომების შესაბამისი, მოქნილი,	დირექტორი; დირექტორის მოადგილე,მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი

									გამჭვირვალე ელექტრონული სწავლების/შეფასების მექანიზმები უზრუნველყოფილია ინფორმაციის დაცულობა;შექმნილია სარეზერვო ასლები. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი პროგრამებით საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;	
5.4.	პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		*	*	*	*	*	*	პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიღება კანონმდებლობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს; საინფორმაციო შეხვედრების/მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სოციალურ ქსელში შექმნილია სპეციალური გვერდი, სადაც მუდმივად ახლდება ინფორმაცია კარიერული განვითარების, დასაქმების შესახებ და სხვა.	დირექტორი; დირექტორის მოადგილე,

5.5.	უსაფრთხო სამუშო და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას		*	*	*	*	*	*	შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა შეფასებულია რისკები საჭიროების შემთხვევაში დასახულია გეგმა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია შესაბამის ორგანოსთან; დაცულია სახანძრო და ელექტრო უსაფრთოების ნორმები, აღებულია შესაბამისობის დასკვნა ინსტრუქტაჟის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ჰიგიენური ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია	მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი,
5.6.	საზოგადოებასთან ურთიერთობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას		*	*	*	*	*	*	შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია კოლეჯის ცნობადობის ასამაღლებელი/სარეკლამო ღონისძიებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მონაწილეობა ერთობლივ ღონისიებებში, ტრენინგებსა და სხვა აქტივობებში	**დირექტორი , საინფორმაციო მენეჯერი**

დანართი №1

სკოლის ორგანოგრამა

სტრუქტურა

სსიპ-სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლა